ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2026 წლის 6 თებერვალი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 6 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 6 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/06/2025; ს/კოდი: 010250050.35.140.016570) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების“.

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ყველა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციებიდან თითო წარმომადგენელი, საკრებულოს აპარატიდან ერთი წარმომადგენელი;

ბ) ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიიდან: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (არაუმეტეს 3 წარმომადგენლისა) და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე;“.

2. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოს თავმჯდომარეა საკრებულოს თანამდებობის პირი.“.

3. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ბესიკი ბერიძე